ბერგენის უნივერსიტეტის (ნორვეგია) გაცვლითი პროგრამა ანთროპოლოგებისთვის

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბერგენის უნივერსიტეტის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში თსუ ანთროპოლოგიის მიმართულების დოქტორანტებს საშუალება ეძლევათ, გაცვლითი პროექტით ეწვიონ ბერგენის უნივერსიტეტის სოციალური ანთროპოლოგიის დეპარტამენტს. ვიზიტის ხანგრძლივობაა სამი თვე. პროგრამა დაფარავს დოქტორანტის მგზავრობისა და საცხოვრებელ ხარჯებს და ასევე ითვალისწინებს ყოველთვიურ სტიპენდიას.

კანდიდატებს შესაძლებლობა ექნებათ:

- განიხილონ საკუთარი სადოქტორო კვლევის საკითხები ინსტიტუტის აკადემიურ პერსონალთან და მიიღონ კონსულტაცია.
- ისარგებლონ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (დოქტორანტებს გამოეყოფათ სამუშაო მაგიდა და კომპიუტერი ინსტიტუტის ოფისში).
- დაესწრონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ინსტიტუტის აკადემიურ ღონისძიებებში (მათ შორის ყოველკვირეულ სემინარებში, რომელსაც სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი ანთროპოლოგები).
- მონაწილეობა მიიღონ ბერგენის საზაფხულო სკოლაში (Bergen Summer Research School).

აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფლობდეს ინგლისურ ენას.
- იყოს თსუ ანთროპოლოგიის მიმართულების დოქტორანტი.
- იყოს სადოქტორო კვლევის ადრეულ ეტაპზე.
- ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკვლევი გეგმა რომლის განხორციელებასაც გეგმავს პროექტის ფარგლებში.

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. CV ინგლისურ ენაზე.
2. სადოქტორო კვლევის აღწერა (მაქსიმუმ ერთი გვერდი).

3. სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე. სამოტივაციო წერილში უნდა იყოს ჩამოყალიბებული თუ რატომ არის აპლიკანტისათვის მნიშვნელოვანი აღნიშნული კვლევითი ვიზიტი. ასევე, იგი უნდა შეიცავდეს მკაფიო გეგმასა და მიზნებს, თუ რა საკითხზე იმუშავებს დოქტორანტი და რა სახის ინტელექტუალურ მხარდაჭერას მოელის ის ამ კონკრეტულ საკითხზე მუშაობისას ბერგენის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისაგან. ყურადღება მიექცევა წერილის ენობრივ მხარესაც.

დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე**:**
ketevan.khutsishvili@tsu.ge
giorgi.cheishvili@uib.no

საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა**: 2021 წლის 15** დეკემბერი გისურვებთ წარმატებებს!